ევროკავშირი
საქართველოსთვის

AFEW

EQUALITY MOVEMENT

საქართველოში ლგბტქ+ უფლებების დარღვევის ანგარიში 2024

თანასწორობის მოძრაობა

EQUALITY MOVEMENT

საქართველოში ლგბტქ+ უფლებების დარღვევის ანგარიში
2024

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „თანასწორობის მოძრაობა“ და AFEW International და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: **მარიამ გულიაშვილი**
ყდის დიზაინი: **იონა უთავსაური**

აკრძალულია ანგარიშში მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან/და გავრცელება კომერციული მიზნით „თანასწორობის მოძრაობის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ია კარგარეთელის ქუჩა № 2, 0102, თბილისი, საქართველო

http://www.equality.ge/

https://www.facebook.com/equalitymovementgeorgia/

წინასიტყვაობა

პოლიტიკური ჰომოფობიის რადიკალიზების კვალდაკვალ, საქართველოში მნიშვნელოვნად დამძიმდა ლგბტქ+ პირების უფლებრივი მდგომარეობა. ამასთან, კრიტიკულად შეიზღუდა სივრცე იმგვარი ინტერევენციების განხორციელებისთვის, რომელიც ლგბტქ+ თემის წევრებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური გარიყულობის შემცირებაზე არის მიმართული. აღნიშნული ვითარება, საგანგაშოდ არყევს ქვიარ-ფემინისტური ინიციატივების მიერ მიღწეულ შედეგებს საქართველოში.

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს პოლიტიკური ჰომოფობიის რადიკალიზებასთან დაკავშირებულ საკვანძო მოვლენებსა და ტენდენციებს საქართველოში. ამასთან, აქცენტს აკეთებს იმ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებზე, რამაც შემაშფოთებლად დააზარალა ლგბტქ+ თემის კეთილდღეობა და უსაფრთხოება. ანგარიშის ფოკუსია იმ ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელიც 2024 წელს „თანასწორობის მოძრაობის” მიერ იურიდიული და ფსიქო-სოციალური სერვისების გაცემის პროცესში გამოიკვეთა.

პოლიტიკური ჰომოფობიის რადიკალიზება

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჰომოფობია ადგილობრივი პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად ჩამოყალიბდა საქართველოში. 2022 წლიდან განსაკუთრებით გახშირდა პოლიტიკური ფიგურების, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების, მხრიდან ღიად დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებები. „მედიის განვითარების ფონდის" მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელიც 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს, სექსისტური და ჰომოფობიური შინაარსის შემცველ 2,527 განცხადებას ავლენს. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ჰომოფობიური განცხადებების 34% პოლიტიკოსებმა გაავრცელეს. პოლიტიკურ პარტიებს შორის, ამ მხრივ, განსაკუთებით აქტიური იყო პარტია „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა", რომელსაც ჰომოფობიური კომენტარების სიხშირით არ ჩამოუვარდებოდა პარტიები „ქართული ოცნება" და „პატრიოტთა ალიანსი".

ქვეყნის მმართველი გუნდის ანტი-გენდერულმა მისწრაფებებმა ოფიციალური ფორმატი პირველად 2023 წლის მაისში შეიძინა, როდესაც იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთში „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC)" დასასწრებად გაემგზავრა. ბუდაპეშტში სიტყვით გამოსვლისას, მან ერთგულება გამოუცხადა ე.წ. ტრადიციულ, ოჯახის და კონსერვატიულ ღირებულებებს, რისთვისაც რამდენიმე ჰომოფობიური შინაარსის გზავნილი გამოიყენა.

„როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავსმოხვევით, ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ე.წ. სიახლეების იძულებით, რომელიც ადამიანს საკუთარ ფესვებს, ოჯახს, საკუთარ ტრადიციას, კულტურას, ისტორიას მოწყვეტს".

ჰომოფობიური შინაარსის გზავნილების გარდა, სიტყვის წარმოთქმისას, ღარიბაშვილმა პირობა დადო, რომ საქართველოში „არ დაუშვებდა უმცირესობის ძალადობას უმრავლესობაზე". მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ჰომოფობიურ კონფერენციაში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა მკაცრად გააკრიტიკა „ევროპის სოციალისტურმა პარტიამ". მოგვიანებით, პარტიის ხელმძღვანელობამ ერთხმად დაუჭირა მხარი „ქართული ოცნების" გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას.

პოლიტიკურად მოტივირებული ჰომოფობიური გზავნილები მალევე გამოვლინდა მოქმედებაში. 2023 წლის 8 ივლისს, ულტრა-კონსერვატიულ მომიტინგეთა ჯგუფი თავს დაესხა თბილისში „პრაიდ ფესტივალისთვის" მომზადებულ სივრცეს. „ალტ-ინფოს" მიერ ორგანიზებული ე.წ. კონტრ-აქციის მონაწილეები შეიჭრნენ ფესტივალის ტერიტორიაზე და დააზიანეს კერძო ქონება. ლგბტქ+ აქტივისტები ევაკუაციის გზით განარიდეს „პრაიდ ფესტივალის" ტერიტორიას. ე.წ. კონტრ-აქციის მონაწილეთა მხრიდან ღიად ძალადობრივი განცხადებების მიუხედავად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც მანამდე პასუხისმგებლობა ჰქონდა აღებული ღონისძიების უსაფრთხოდ განხორციელებაზე, არ გამოიყენა პროპორციული მექანიზმები „ალტ-ინფოს" ძალადობრივი მოქმედებების შესაჩერებლად. ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ზემოთხსენებული თავდასხმა შსს-სა და „ალტ-ინფოს" მიერ ერთობლივად იქნა ორგანიზებული ***„ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ".*** 2021 წლის 5 ივლისსა და 2023 წლის 8 ივლისს მომხდარი ჰომოფობიური ძალადობის შემთხვევათა გამოძიება კვლავ რჩება ევროკომისიის მოქმედ რეკომენდაციებს შორის საქართველოს მიმართ.

მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი ჰომოფობიური განზრახვები ეტაპობრივად ტრანსფორმირდა ინსტიტუციურ გადაწყვეტილებებად. 2022-2023 წლებში ეროვნული მნიშვნელობის სტრატეგიული დოკუმენტებიდან სრულად გაუჩინარდა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. თავდაპირველად ლგბტქ+ თემთან დაკავშირებული საკითხები ამოღებულ იქნა „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციიდან". მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დოკუმენტში გენდერული თანასწორობა ექსკლუზიურად „ქალსა" და „მამაკაცს" შორის არსებულ ცნებად განისაზღვრა. მსგავსი სცენარი განვითარდა 2022-2030 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემთხვევაშიც. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევისა და კრიტიკის მიუხედავად, ლგბტქ+ თემთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ზემოთხსენებულ სტრატეგიულ დოკუმენტებში არ ასახულა. მეტიც, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების დაბალი ჩართულობისა და ინკლუზიურობის პრინციპის დარღვევის ფონზე წარიმართა. სწორედ აქედან დაიწყო საქართველოში პოლიტიკური ჰომოფობიის ინსტიტუციონალიზების პროცესი, რომელიც შემდგომ კრიტიკულ საკანონმდებლო ცვლილებებად გარდაისახა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიას (2022-2030 წლებისთვის)" საქართველოს პარლამენტი

„უცხოური გავლენის აგენტების" შესახებ კანონის წინააღმდეგ თბილისში გამართული მასობრივი დემონსტრაციების პარალელურად განიხილავდა. კანონპროექტი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" მხრიდან იქნა ინიცირებული და მიზნად ისახავდა ქვეყანაში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედია საშუალებებზე ზეწოლას. კრემლის მიერ 2012 წელს მიღებულ კანონთან მსგავსების გამო, აღნიშნულ კანონპროექტს სამოქალაქო საზოგადოებამ „რუსული კანონი" უწოდა. 2023 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ პირველი მოსმენით მიღებული კანონი მეორე მოსმენისას ჩააგდო.

სწორედ ე.წ. რუსული კანონის გარშემო შექმნილი წინააღმდეგობის პარალელურად, 2023 წლის 7 მარტს 6 წლიანი ვადით აირჩია პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი - ლევან იოსელიანი. ზემოთგანხილული პოლიტიკური და ინსტიტუციური ჰომოფობიის მაგალითებს ლგბტქ+ პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით ისიც დაემატა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტის საქმიანობაში, რომელიც მანამდე ლგბტქ+ თემის წევრების უფლებების მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, სულ უფრო ხილული გახდა პრო-სახელისუფლებო პოლიტიკური გავლენები.

გარდამტეხი მომენტი: 2024 წლის პოლიტიკური მოვლენები

ანტიდემოკრატიული პოლიტიკური მოვლენების ციკლი ლოგიკურად გაგრძელდა 2024 წელს. 3 აპრილს, ქვეყნის მმართველმა გუნდმა, „ქართულმა ოცნებამ" ე.წ. რუსული კანონის რეინიცირების შესახებ განაცხადა. კანონპროექტის ძირითადი შინაარსი იგივე დარჩა, მხოლოდ სიტყვა „აგენტი" ჩანაცვლდა „ნაკლებად წინააღმდეგობრივი" ფორმულირებით. ახალი კანონის მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებული ის არასამეწარმეო იურიდიული პირები, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი წარმოადგენს უცხოური წყაროსგან მიღებულ დაფინანსებას, განისაზღვრა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად". ამას გარდა, კანონპროექტით სამთავრობო სტრუქტურებს მიენიჭა კონტროლისა და მონიტორინგის უფლებამოსილებები, რაც მათ წვდომას აძლევს ისეთ კრიტიკულ და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, როგორიცაა, მაგალითად ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები.

მძლავრი საერთაშორისო კრიტიკის და ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მიღებულ კანონს საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, ვეტო დაადო. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიამ „რუსული კანონის" შესახებ „გადაუდებელ მოსაზრება" გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, არსებული ფორმით კანონი პარლამენტს არ უნდა მიეღო. მიუხედავად ამისა, 2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ".

„რუსული კანონის" რეინიცირების პარალელურად, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი - სავალდებულო გენდერული კვოტირება. საარჩევნო კოდექსში კვოტირების შესახებ არსებული ჩანაწერი, პოლიტიკური პარტიებისთვის ამკვიდრებდა ვალდებულებას, წარედგინათ იმგვარი პარტიული სიები, რომელიც ყოველ ოთხეულში ერთ ქალ წარმომადგენელს ითვალისწინებდა. კვოტირების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ინიცირებული იქნა საპარლამენტო ოპოზიციური პარტია „გირჩის" მიერ. ინიციატივას მხარი დაუჭირა „ქართულმა ოცნებამ", რის სანაცვლოდაც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევისას, მისთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ „გირჩის" ხმა მიიღო.

ცვლილება შეეხო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანულ კანონსაც. პარლამენტის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პოლიტიკური პარტიების ფინანსური წახალისების ინსტრუმენტი, რომელიც პარტიულ სიებში ქალთა პროპორციული რეპრეზენტაციის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.

ეუთო/ოდირმა თავის მოსაზრებაში ქვეყანაში გენდერული კვოტებისა და ფინანსური წახალისების ინსტრუმენტის გაუქმება შეაფასა, როგორც ***„უკუსვლა საქართველოში გენდერული თანასწორობის წინსვლისთვის, რაც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთოს ვალდებულებებს, რომლებიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას მოითხოვს".***

მმართველი პარტიის მიერ მიღებულმა ანტი-დემოკრატიულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა ჩიხში შეიყვანა ქვეყნის საგარეო ურთიერთობები. ევროკავშირმა დაიწყო საქართველოს მთავრობის მხარდასაჭერად გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაყინვა და დააანონსა ფოკუსის სრულად მიმართვა

მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. ამას გარდა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სავიზო შეზღუდვები დააწესა საქართველოში დემოკრატიის ძირის გამოთხრაზე პასუხისმგებელი ან მასში თანამონაწილე პირებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

2024 წელს ე.წ. ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა მმართველი პარტიის ძირითად წინა საარჩევნო დევიზად ჩამოყალიბდა. „ქართულმა ოცნებამ" დააინიცირა ცენზურის დამწესებელი საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც მნიშვნელოვან შეზღუდვებს ადგენდა ლგბტქ+ პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების მიმართ. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლში ახალი პუნქტის დამატებას შემდეგი ფორმულირებით - ***,,ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით".*** მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 29 აპრილს „ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებულ პროსახელისუფლებო შეკრებაზე, სადაც მილიარდერი ოლიგარქი და პარტიის დე-ფაქტო ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ღიად პოზიციონირებდა ქვეყნის მმართველი გუნდის ანტი-დასავლურ მისწრაფებებს, განმარტებულ იქნა, რომ ანტი-ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შემზღუდველი კანონების დაინიცირება, გარდა საკანონმდებლო რეგულირებისა, იმ მიზანსაც ემსახურებოდა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას წინააღმდეგობის ენერგია არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაეხარჯა.

25 ივნისს ვენეციის კომისიამ ანტი-ლგბტ კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე მოსაზრება გამოაქვეყნა. აღნიშნულ დასკვნაში, კომისიამ კრიტიკულად შეაფასა პროექტის, როგორც სამართლებრივი ასპექტები, ასევე მისი დაინიცირების პროცესი და გარემოებები. ამასთან, კომისიამ საქართველოს ხელისუფლების მიმართ გასცა რეკომენდაცია, ***,,სრულად გადახედილიყო საკანონმდებლო ინიციატივა და არ გაგრძელებულიყო მისი მიღების პროცესი".*** მიუხედავად ამისა, არჩევნებამდე დაახლოებით 1 თვით ადრე, 17 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრუწლოვანის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასა და დამატებით 18 მოქმედ კანონში ცვლილებას.

ანტი-ლგბტ კანონი, რომელიც 2 დეკემბერს შევიდა ძალაში, თანაბრად ზღუდავს ლგბტქ+ თემის, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განხორციელებას და მნიშვნელოვან გამოწვევებს ამკვიდრებს უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის ზოგიერთი დებულება, მაგალითად ერთსა და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება, არასდროს ყოფილა დაშვებული ქართული კანონმდებლობით. ამასთან, კანონით აიკრძალა ლგბტქ+ პირების მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდელად მიღება, რისი იმპლემენტაციის მონიტორინგიც ბუნდოვან მოცემულობას წარმოადგენს.

ხაზგასასმელია, რომ კანონი კრიტიკულად ზღუდავს ტრანს ადამიანების უფლებებს, როგორც გენდერის სამართლებრივი აღიარების აკრძალვით, ასევე ტრანს-სპეციფიკური ჯანმრთელობის სერვისების კრიმინალიზაციით, რაც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ტრანს თემის ირიბად კრიმინალიზების პრაქტიკა. ამას გარდა, კანონი არის ცენზურის დამწესებელი იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ლგბტქ+ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მაუწყებლობას, რეკლამირებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებას. მეტიც, იმავე საკითხებთან მიმართებით, კანონით აკრძალულია არასრულწლოვან ადამიანთან პირდაპირი კომუნიკაცია.

დამატებით, კანონით შეზღუდულია იმგვარი შეკრება და მანიფესტაცია, რომელიც ლგბტქ+ საკითხების „პოპულარიზაციისკენ" არის მიმართული. ამას გარდა, მიუხედავად შრომის ბაზარზე ფართოდ გავრცელებული ჰომო, ბი და ტრანსფობიური დისკრიმინაციისა, კანონი შრომითი ურთიერთობების წარმოებისას, დამსაქმებლებს ათავისუფლებს პიროვნების გენდერული იდენტობის აღიარებისა და პატივისცემის ანტი-დისკრიმინაციული ვალდებულებებისგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, ანტი-ლგბტ კანონს არც ვეტო დაადო და არც ხელი მოაწერა.

ანტი-ლგბტ კანონის მიღებიდან 1 დღეში მოდელი და ინფლუენსერი, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ტრანსგენდერი ქალი, კესარია აბრამიძე, საკუთარ სახლში სასტიკად მოკლული იპოვეს. საქმის გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით წარიმართა, რაც გულისხმობს გენდერის ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას. ამ ამბიდან დაახლოებით 1 თვის თავზე თავს დაესხნენ კატო მიქელაძის პრემიის ლაურეატს, ტრანს აქტივისტსა და "თანასწორობის მოძრაობის" თანამშრომელს, ნატა ტალიკიშვილს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს. საქმეს „თანასწორობის მოძრაობის" იურისტები უძღვებიან.

„საქართველოს საარჩევნო ობსერვატორიამ" გამოაქვეყნა მედია ანალიზი, რომელშიც შეჯამებულია წინა საარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნების ჰომოფობიური განცხადებები. ანალიზში ხაზგასმულია იმგვარი რეპლიკები, როგორიცაა, მაგალითად, იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის, მტკიცება იმის შესახებ, რომ პროპაგანდამ შესაძლოა განაპირობოს ლგბტქ+ პირების რაოდენობის ზრდა. კობახიძე ამბობს: ***,,სტატისტიკა სხვა რამეზე მეტყველებს, რეალურად, [ლგბტ] პროპაგანდის გავრცელების შემდეგ და კვალდაკვალ 20%-ს გადააჭარბა ლგბტ პირების რაოდენობამ, შესაბამის***

ქვეყნებში". ანალიზში ასევე მოხსენიებულია ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომელიც ე.წ. ლგბტ პროპაგანდას ერის გადარჩენის თვალსაზრისით, საფრთხედ მონიშნავს: ***,,ანტიქრისტიანული ძალები ცდილობენ ერებს, სახელმწიფოებს და ადამიანებს ყოველგვარი იდენტობა წაუშალონ. მათი მიზანია, ადამიანი იქცეს ღირსებისა და მორალისგან დაცლილ არსებად, რომელსაც არ ექნება არავითარი ეროვნული, რელიგიური, თუ პიროვნული იდენტობა; ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი".*** ანალიზში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანტი-ლგბტ კანონის მიღების პერიოდი გამიზნულად იყო შერჩეული და ემსახურებოდა იმგვარი წინა საარჩევნო მიზნების მიღწევას, როგორიცაა, მაგალითად, კულტურული პროტექციონიზმის ნარატივის აგება დასავლური ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში 26 ოქტომბერს გაიმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური შედეგების მიხედვით, არჩევნებში პარტია „ქართულმა ოცნებამ" დაახლოებით 54%-ით გაიმარჯვა, რასაც თბილისში მასობრივი სახალხო პროტესტი მოჰყვა. არჩევნების ოფიციალური შედეგები არ აღიარა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, და არჩევნებში მონაწილე ოთხმა მთავარმა პრო-ევროპულად განწყობილმა საარჩევნო სუბიექტმა. ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებიც სადამკვირვებლო ფუნქციას ასრულებდნენ, გამოაქვეყნეს არჩევნების გაყალბების მტიცებულებები. ამას გარდა, არჩევნებთან დაკავშირებული სისტემური დარღვევები მოხსენიებული იყო, როგორც ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ფინალურ დასკვნაში, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ანგარიშში.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სახალხო წინააღმდეგობა განსაკუთრებით აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ" 28 ნოემბერს განაცხადა, რომ 2028 წლამდე დღის წესრიგში აღარ დააყენებდა ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხს. საქართველოს მასშტაბით მიმდინარე მასობრივი საპროტესტო აქციები პოლიციამ ძალადობრივად დაარბია, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის სპრეის, წყლის ჭავლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების მეთოდების გამოყენებით. აქციების მიმდინარეობისას დააკავეს ასობით ადამიანი, მათ შორის 50-მდე სისხლის სამართლის მუხლით. მათი უმეტესობა დაკავებისას და შემდგომ საპოლიციო ძალების მხრიდან განიცდიდა ძალადობას, მათ შორის, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას.

28 დეკემბერს ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, სადაც ხაზგასმულია აქციებისას დაკავებული ქალების მიმართ მძიმე გადაცდომის შემთხვევები. განცხადების მიხედვით, ფიზიკური ძალადობის გარდა, აქციების მსვლელობისას დაკავებული ქალები საპოლიციო ძალების მხრიდან განიცდიდნენ არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას, სექსუალურ შევიწროებასა და გაუპატიურების შესახებ მუქარებს.

ნიშანდობლივია, რომ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას პოლიციის ქცევა ჰომოფობიურ კონტექსტთანაც ავლენდა კავშირს. ზოგიერთი დაკავებული იხსენებს, რომ შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად იყენებდნენ ჰომოფობიური სიძულვილის ენას: ***,,საუბრობდნენ ევროკავშირზე, რომ თითქოს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვს. იყვნენ უმეტესად ჰომოფობიურები, ამბობდნენ, რომ ლგბტქ თემს არ უნდა მიეცეს ქუჩაში გამოსვლის შესაძლებლობა. როდესაც ვახსენებდი მათ კონსტიტუციურ უფლებებს, ეს მათთვის საერთოდ არაფრად ღირდა. ამას თან ახლდა ყვირილი, გინება, შეურაცხყოფა, დამამცირებელი კომუნიკაცია".***

მეტიც, შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა, ზვიად ხარაზიშვილმა, ჟურნალისტთან კომუნიკაციისას საჯაროდ გამოიყენა ჰომოფობიური რეპლიკა. მოგვიანებით განსაკუთებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა, ირაკლი შაიშმელაშვილმა, რომელმაც დეკემბრის აქციების პარალელურად დატოვა სისტემა და ქვეყნიდან ოჯახთან ერთად გაემგზავრა, „რადიო თავისუფლებასთან" ინტერვიუში დაადასტურა, რომ შსს-ის თანამშრომლებს შორის აქტიურად ვრცელდებოდა ჰომოფობიური შინაარსის დეზინფორმაცია. აღნიშნული გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში თანამშრომელთა ჰომოფობიური ინდოქტრინაცია მიზნად ისახავდა საპროტესტო აქციებში მონაწილე პირების მიმართ სიძულვილის გაღვივებას. შაიშმელაშვილმა „ტვ პირველის" ეთერში ისიც დაადასტურა, რომ 2021 წლის 5 ივლისს შსს საპარარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან, ანდრია ჯაღმაიძესთან, ერთად შეთანხმებულად მოქმედებდა, რის გამოც ვერ მოხერხდა აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ძალადობის შეკავება. 2021 წლის 5 ივლისს დაგეგმილი „ღირსების მარშის" წინააღმდეგ ძალადობრივმა ჯგუფებმა ათობით ადამიანზე იძალადეს, თავს დაესხნენ „სირცხვილიასა" და „თბილისი პრაიდის" ოფისებს და დააზიანეს კერძო საკუთრება.

აშშ, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილის, შსს-ის მაღალჩინოსნებისა და „ქართული ოცნების" სხვა მოკავშირეთა მიმართ სხვადასხვა ტიპის სანქციები დააწესა. საქართველოს მასშტაბით მიმდინარე საპროტესტო აქციები არ შეწყვეტილა, მას ორი მოთხოვნა აქვს: ახალი არჩევნები და უკანონოდ დაკავებულების გათავისუფლება. ლგბტქ+ თემის წევრები და ქვიარ-ფემინისტი აქტივისტები აქტიურად არიან ჩართულები სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობაში.

სამართლებრივი და ფსიქო-სოციალური სერვისები: შედეგები და გამოწვევები

საქართველოში კრიტიკულად მცირეა იმგვარი სახელმწიფო დახმარების სერვისების რაოდენობა, რომელიც უპასუხებდა უფლებრივად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს. სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე, მრავალი წელია, აღნიშნული დანაკლისის შევსებას არასამთავრობო სექტორი ცდილობს. ლგბტქ+ თემი ამ მიმართულებით განსაკუთრებულ გარიყულობას განიცდის. წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმების არაჯეროვნად განხორციელების, ამასთან, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, პროფესიულ ჯგუფებში დომინირებული მჩაგვრელი დისკურსების გამო, იმგვარი სახელმწიფო სერვისები, რომელიც მიმართული იქნებოდა თემისთვის არსებული მძიმე ყოფის შემსუბუქებასა და დაძლევაზე, პრაქტიკულად არ არსებობს. აღნიშნულის საპასუხოდ, „თანასწორობის მოძრაობა" დონორების მხარდაჭერით 2018 წლიდან გასცემს ჯანმრთელობის, სამართლებრივ და ფსიქო-სოციალური დახმარების სერვისებს ლგბტქ+ პირებისთვის.

სამართლებრივი მხარდაჭერა

2024 წლის განმავლობაში „თანასწორობის მოძრაობის" იურიდიული სერვისით ისარგებლა 257-მა ბენეფიციარმა. ამასთან, ორგანიზაციის იურისტებმა აწარმოეს 139 საქმე. წარმოებული საქმეების დიდი ნაწილი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს უკავშირდებოდა. ამას გარდა, ორგანიზაციამ აწარმოა რამდენიმე საქმე, რომელიც შრომის უფლების დარღვევასთან არის კავშირში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ე.წ. რუსული კანონები ამოქმედდა, ლგბტქ+ პირების დიდი ნაწილი მიმართავს ორგანიზაციას თხოვნით, დაეხმაროს მათ შესახებ არსებული დოკუმენტების გამოთხოვაში შსს-დან და გენერალური პროკურატურიდან. დოკუმენტების გამოთხოვის უმთავრეს მიზანს კი, სხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნა წარმოადგენს. აღნიშნული ტენდენცია გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური და ინსტიტუციური ჰომოფობიის რადიკალიზების კვალდაკვალ გაზრდილია ქვიარ ადამიანების მიგრაციის შემთხვევები შედარებით უსაფრთხო ქვეყნებში.



ორგანიზაციის იურისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იურიდიული სერვისების გაწევის პროცესში შესამჩნევია ლგბტქ+ პირებს შორის საპოლიციო და საგამოძიებო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაქვეითება. უკანასკნელ პეროდში, რომელიც ანტიდემოკრატიულ მოვლენათა სიმრავლით ხასიათდება, აშკარა ძალადობის შემთხვევებშიც კი, ბენეფიციარები თავს იკავებენ ინციდენტის შესახებ განაცხადონ შესაბამის სამსახურებში.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, როგორც სასამართლო, ასევე სხვა ადმინისტრაციულ უწყებებთან მნიშვნელოვნად გართულდა კოორდინაცია. ინსტიტუტები სისტემატიურად არღვევდნენ ვადებს, როგორც მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების, ასევე პროცესების ჩანიშვნის თვალსაზრისით, რაც აფერხებდა უფლებადამცველობითი საქმიანობის განხორციელებასა და სამართლებრივი სერვისების გამართულ მიწოდებას.

ადმინისტრაციული ბარიერების გარდა, ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პოტენციური დაზარალებულის გამოკითხვისას გამომძიებელმა მის მიმართ გამოამჟღავნა აშკარა უარყოფით დამოკიდებულება. კერძოდ, გამომძიებელი გამოკითხვისას ცდილობდა პოტენციური დაზარალებულის დარწმუნებას, რომ 2018 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ინციდენტისას განცდილი შიში

და მუქარა მისი მხრიდან არასწორად იყო აღქმული, რის გამოც, შეიძლებოდა, მის წინააღმდეგ კონკრეტული სამართლებრივი შედეგები დამდგარიყო. შემთხვევის შესახებ „თანასწორობის მოძრაობამ" ინფორმაცია მიაწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელმაც მომხდარის შესახებ წამოიწყო გამოძიება, თუმცა არსებითი რეაგირება ზემოთხსენებულ ფაქტს არ მოჰყოლია. მოგვიანებით, როგორც ორგანიზაციამ საქმის პროკურორისგან შეიტყო, გამომძიებელს სიტყვიერი შენიშვნა გამოეცხადა. ამას გარდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ გამომძიებელსა და პოტენციურ დაზარალებულს შორის შედგა სიტყვიერი კომუნიკაცია, რომლის დროსაც გამომძიებელმა მას ბოდიში მოუხადა. ორგანიზაციის იურისტების შეფასებით, მსგავსი ინციდენტები ბენეფიციარებს შორის საგრძნობლად ზრდის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობასა და დაუცველობის განცდას. აღნიშნული კი განსაკუთრებით ხილულია საგამოძიებო უწყებებთან გადაკვეთისას.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში „თანასწორობის მოძრაობას" სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა ტრანსგენდერმა ქალმა, რომლის განცხადებითაც, სამართალდამცავის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებას. „თანასწორობის მოძრაობამ" მომხდარის შესახებ აცნობა სახალხო დამცველის აპარატს, თუმცა ამ დრომდე ზემოთხსენებულ შემთხვევას ინსტიტუტის მხრიდან რაიმე არსებითი გამოხმარეურება არ მოჰყოლია.

2024 წელს, „თანასწორობის მოძრაობამ" სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის 52 მსხვერპლს გაუწია სხვადასხვა ტიპის იურიდიული დახმარება. მათგან 6 შემთხვევა ოჯახში ძალადობასთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი დანაშაულების შემთხვევაში ბენეფიციარები მიდრეკილები არიან თავდაპირველად გამოთქვან მზადყოფნა ინციდენტის შესახებ განაცხადონ შესაბამის დაწესებულებებში, ხოლო საქმის მიმდინარეობის შემდგომ ეტაპებზე თავი შეიკავონ ოჯახის წევრების მიმართ ჩივილისგან. მაგალითისთვის, „თანასწორობის მოძრაობის" მულტი-დისციპლინურმა გუნდმა 2024 წელს იმუშავა საქმეზე, რომელიც სახლიდან წამოსული ბენეფიციარის ოჯახის წევრების მხრიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ გატაცებას ეხებოდა. ორგანიზაციის იურისტების ძალისხმევის და შესაბამისი უწყებების მზადყოფნის მიუხედავად, ბენეფიციარმა უარი განაცხადა გაგრძელებულიყო საქმის მსვლელობა. ამას გარდა, აღნიშნულმა პირმა ოჯახის წევრებთან ძალდატანებით დაბრუნების შემდეგ „თანასწორობის მოძრაობას" განუცხადა, რომ არ სურდა ოჯახისთვის ეჩივლა ან ესარგებლა ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სხვა მხარდამჭერი სერვისებით. 2024 წელს ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეეცადა უკვე დაწყებული საგამოძიებო პროცესის შეწყვეტას, რადგან არ უნდოდა მის მიმართ მოძალადე ოჯახის წევრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე წარმოებულიყო.

2024 წელს „თანასწორობის მოძრაობის" იურისტების გუნდმა ასევე აწარმოა 50-მდე საქმე, რომელიც ლგბტქ+ პირების მიმართ ძალადობისა და მუქარის ინციდენტებს შეეხება. ამგვარ საქმეებს შორისაა თავდასხმა ტრანს აქტივისტ ნატა ტალიკიშვილზე. თავდამსხმელმა ნატა ტალიკიშვილს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ჩაარტა აგური, რის შედეგადაც აქტივისტმა ტვინის შერყევა მიიღო. მოგვიანებით გამოირკვა, რომ თავდამსხმელი კოალიციური გაერთიანება „ძლიერი საქართველოს" საპარლამენტო სიის წევრი იყო და წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიას - „ხალხისთვის". გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის თავდამსხმელს შეფარდებული აქვს გირაო 1,000 ლარის ოდენობით.

ანტი-ლგბტ კანონის მიღებიდან რამდენიმე დღეში ორგანიზაციას სამართლებრივი დახმარების თხოვნით დაუკავშირდა სოციალურ ქსელ TikTok-ში პოპულარული პირი. მისი განცხადებით, TikTok ლაივის მიმდინარეობისას მისთვის უცნობი პიროვნება მას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, კერძოდ, განუცხადა, რომ „შემდეგი კესარია ის იქნებოდა". საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს. ბრალდებული დაკავებულია. აღკვეთი ღონისძიების სახედ მას შეეფარდა პატიმრობა.

ნიშანდობლივია, რომ 2024 წლის განმავლობაში, „თანასწორობის მოძრაობის" მიერ წარმოებულ საქმეებს შორის შესამჩნევად მაღალია სოციალურ ქსელში, კერძოდ, TikTok-ში, ლგბტქ+ პირების მიმართ ჰომოფობიური სიძულვილის ენისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების რაოდენობა. ერთ-ერთ ამგვარ საქმეზე 2024 წლის 19 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წახალისება დაადგინა და ვიდეოს გამავრცელებელს ***„რომელიმე დაუცველი ჯგუფის, მათ შორის, ლგბტქ+ თემის, მიმართ შერაცხმყოფელი და დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელებისგან თავის შეკავებისკენ"*** მოუწოდა. დისკრიმინაციის მსხვერპლი „თანასწორობის მოძრაობის" იურისტებთან კოორდინაციით გეგმავს სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პატივისა და ღირსების შელახვისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება.

ასევე, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, რომელიც სოციალური ქსელების გამოყენებითა თუ მათ გარეშე ლგბტქ+ პირების პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ან მსგავსი ინფორმაციის გავრცელებით შანტაჟს ეხება. მათ შორისაა პიროვნების იძულებითი „ქამინგ აუთის" შემთხვევები. მაგალითისთვის, საანგარიშო პერიოდში „თანასწორობის მოძრაობას" დაუკავშირდა ტრანს ადამიანი, რომლის განცხადებით, მას სოციალურ ქსელში ტრანზიციამდე და ტრანზიციის შემდგომ პერიოდებში გადაღებული ფოტო მასალა გაუვრცელეს. „თანასწორობის მოძრაობამ" განცხადებით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძება 157-ე მუხლით, რაც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფას

გულისხმობს. ამას გარდა, 2024 წელს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ლგბტქ+ თემის წევრის მეზობლებმა მისი პირადი ცხოვრების შესახებ არსებული ინფორმაცია აღნიშნული პირის მშობლებს მიაწოდეს.

საანგარიშო პერიოდში „თანასწორობის მოძრაობის" იურისტებმა ასევე აწარმოეს რამდენიმე საქმე, რომელიც ლგბტქ+ პირების მიმართ ჯგუფური ან ინდივიდუალური თავდასხმისა და ძალადობის შემთხვევებს ეხება. ერთ-ერთი ამგვარი საქმე არასრულწლოვნების მხრიდან განხორციელებულ ჯგუფურ ძალადობას უკავშირდება. საქმეზე 2 არასრულწლოვანს აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდათ მეთვალყურეობაში გადაცემა. „თანასწორობის მოძრაობის" მიერ წარმოებულ სხვა საქმეებს, რომლებიც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ჩადენილ სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას ეხება, ძირითადად ტრანსფობიური მოტივი აქვს. ერთ-ერთი მათგანი მსხვერპლის პირად საცხოვრებელ სახლში მოხდა. აღნიშნულ საქმეზე ამ დრომდე მიმდინარეობს გამოძიება.

შემაშფოთებელია, რომ „თანასწორობის მოძრაობის" ინფორმაციით, 2024 წელს დაფიქსირდა ლგბტქ+ თემის წევრებზე თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა, რომლებსაც იდენტური სცენარი აქვს. შემთხვევები გაცნობის აპლიკაციით დაგეგმილ შეხვედრებზე განხორციელდა. მაგალითისთვის, „თანასწორობის მოძრაობას" სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომლის განცხადებითაც მას შემდეგ, რაც ის გაცნობის აპლიკაციის მეშვეობით დაგეგმილ შეხვედრაზე მივიდა, ადგილზე დახვდა მისთვის უცნობი რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც მასზე ფიზიკურად იძალადეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. „თანასწორობის მოძრაობამ" აღნიშნულ პირს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია, თუმცა, მან შემთხვევის შესახებ პოლიციისთვის მიმართვა არ ისურვა. ორგანიზაციის ინფორმაციით, არც გაცნობის აპლიკაციებთან დაკავშირებული სხვა თავდასხმების მსხვერპლებს მიუმართავთ სამართალდამცავი უწყებებისთვის.

ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარე საპროტექსტო აქციების მსვლელობის პარალელურად, „თანასწორობის მოძრაობას" სამართლებლივი დახმარების თხოვნით მიმართა ქალმა, რომლის განცხადებითაც მას ქუჩაში შავ ნიღბიანმა, მისთვის არაიდენტიფიცირებადმა პირებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ის საპროტესტო აქციიდან სახლში ბრუნდებოდა. მას შემდეგ, რაც ნიღბიანმა პირებმა მსხვერპლი დააიდენტიფიცირეს, როგორც საპროესტო აქციის მონაწილე, დაიწყეს მისი ცემა და უთხრეს, რომ ჯობდა სახლში დარჩენილიყო, რადგან აქციებზე სიარული ქალის საქმე არ არის. „თანასწორობის მოძრაობამ" შემთხვევის შესახებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეატყობინა, სადაც მოქალაქე მოწმის სტატუსით იქნა გამოკითხული. ამასთან, მას ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 154-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა

ორგანიზაციის მიერ ფსიქო-სოციალური სერვისების გაცემის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ანალიზს მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივყავართ. 2024 წელს „თანასწორობის მოძრაობის" სოციალური მუშაკის სერვისით ისარგებლა 240-მდე ბენეფიციარმა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის სოციალური მუშაკების მიერ მართულ შემთხვევათა დაახლოებით 60%-ში საჭირო გახდა ბენეფიციარის გადამისამართება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე.



ბენეფიციართა საჭიროებების შეფასებისას, სოციალური მუშაკები ბოლო პერიოდში გავრცელებულ რამდენიმე საკვანძო გამოწვევას გამოკვეთენ, რომელთა შორის პირველ ადგილზეა ფსიქო-ემოციური სირთულეები, კერძოდ, დეპრესია, შფოთვა, პანიკური შეტევები და სხვ. ორგანიზაციის სოციალური მუშაკები უკანასკნელ წლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ორგანიზაციისადმი მიმართვიანობის საგრძნობ მატებას ზოგად სტრეს ფაქტორებთან ერთად, ქვეყანაში ჰომოფობიური კონტექსტის რადიკალიზებას უკავშირებენ. აღნიშნავენ, რომ ანტი-ლგბტ კანონის დაინიცირების შემდეგ, განსაკუთრებით გართულდა ლგბტქ+ თემის წევრთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა.

საანგარიშო პერიოდში არანაკლებ აქტუალური იყო ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ამ მიმართულებით ბენეფიციარები უმეტესად საჭიროებდნენ სოციალური მუშაკების მხარდაჭერას მკურნალობის, კვალიფიციური და სენსიტიური ექიმების მოძიებისა და მედიკამენტების შეძენის მიმართულებით.

სოციალური მუშაკები ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კრიტიკულად მწვავედ დგას უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე საქართველოში ჩამოსული მიგრანტების ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხი. მაგალითად, 2024 წელს ორგანიზაციის სოციალურ მუშაკს დახმარების თხოვნით მიმართა რუსეთის მოქალაქე აივ დადებითმა პირმა, რომელსაც ჯამრთელობის მდგომარეობის მძიმე გართულებები აღენიშნებოდა. ორგანიზაციისა და სოციალური მუშაკების ჩართულობით ბენეფიციარი განთავსებულ იქნა „თენგიზ ცერცვაძის სახელობის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში", სადაც მას ტუბერკულოზის გადამდები ფორმა დაუდასტურდა. დაავადების სიმწვავიდან გამომდინარე, ბენეფიციარს სჭირდებოდა სპეციალიზებული სამედიცინო სერვისის გაწევა, რის გამოც გადამისამართდა „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში", რომელმაც ბინადრობის უფლების უქონლობის გამო, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე უარი თქვა. „თანასწორობის მოძრაობის" სოციალური მუშაკების ადვოკატირების შედეგად, ორი კვირის დაგვიანებით ბენეფიციარი ბოქსირებულ პალატაში განთავსდა. სამწუხაროდ, ტუბცენტრში განთავსებიდან 5 დღეში პაციენტი გარდაიცვალა. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ პრობლემა ფართოდ არის გავრცელებული, რადგან წინა წლებშიც დაფიქსირებულა შემთხვევები, როდესაც სიცოცხლისთვის აუცილებელ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმიუწვდომლობის გამო, დადგა კრიტიკულად მძიმე შედეგი.

2024 წელს ასევე მაღალი იყო მომართვიანობა იმგვარი პრობლემებით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ლგბტქ+ თემის სოციალურ და ეკონომიკურ ექსკლუზიას. წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც მწვავედ იდგა საცხოვრისზე, განათლებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის პრობელემები. ამას გარდა, განსაკუთრებით ტრანს თემის წევრებს შორის მნიშვნელოვნად ფიგურირებდა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

„თანასწორობის მოძრაობის" მულტი-დისციპლინური გუნდის შეფასებით, საგანგაშოდ გაზრდილია იმ ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც ორგანიზაციას მიგრაციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამო მიმართავენ. შედარებით უსაფრთხო ქვეყნებში მიგრაციის სურვილის მქონე ლგბტქ+ პირების რაოდენობა, მათი მტკიცებით, ერთი ათად იყო გაზრდილი 2024 წელს, რაც ანტი-ლგბტ კანონის პირველად შედეგად შეიძლება მოინიშნოს. ამგვარ ბენეფიციარებს ორგანიზაციის მულტი-დისციპლინური გუნდი დახმარებას უწევდა საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებისა და მხარდამჭერი სერვისების მოძიების მიმართულებით.

ბოლოსიტყვაობა

2025 წელი მსოფლიოსთვის მოულოდნელი ბუნდოვანებით დაიწყო. ჯერ კიდევ 2024 წლის მიწურულს აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის არჩევას კონტროვერსული გზავნილების კასკადი მოჰყვა. მათ შორის იყო დონალდ ტრამპის დაპირება „ტრანს-გენდერული სიგიჟის" დასრულების შესახებ. მალევე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აშშ-ის ფედერალური მთავრობა მხოლოდ „ორ სქესს" აღიარებს. ამასთან, გაუქმდა მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის (DEI) ფედერალური პროგრამები. დონალდ ტრამპმა ასევე გამოსცა ბრძანებები ტრანსგენდერი ადამიანებისთვის არმიაში მსახურობისა და ქალთა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მიღებულ რადიკალურ გადაწყვეტილებებს შორის აღმოჩნდა მინიმუმ 90 დღის ვადით საერთაშორისო დახმარების პროგრამების შეჩერება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დიდი ოდენობით ჰუმანიტარული პროგრამების სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. ზემოთხსენებული გადაწყვეტილება ასევე შეეხო იმგვარ პროგრამებს, რომლებიც ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დაცვასა და კეთილდღეობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. აშშ-ის საშინაო და საგარო პოლიტიკაში მიმდინარე ანტი-გენდერული ცვლილებების კონკრეტული შედეგები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. თუმცა არ იქნება გადაჭარბებული თუკი ამ უეცარ მოცემულობას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხედ მოვნიშნავთ, მათ შორის, საქართველოში მცხოვრები ლგბტქ+ პირებისთვის.

„თანასწორობის მოძრაობა" ლოკალურად და გლობალურად შექმნილი რადიკალური მოცემულობის მიუხედავად, განაგრძობს ლგბტქ+ თემის მხარდამჭერი სერვისებისა და პროგრამების განხორციელებას, როგორც თემის ჯანმრთელობის დაცვის, ამასთან მისი სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერისა და უფლებათა დაცვის ხელშეწყობის მიმართულებით.